სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის 2025 წელს განხორციელებული სამუშაოების შესახებ

ანგარიში

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური 2025 წელს მუშაობას ეწეოდა სამსახურის დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად.

2025 წელს სენაკის მუნიციპალიტეტში ქალაქად და სოფლად რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით განხორციელდა ასფალტობეტონის საფარის მოწყობა: გოლასკური-ზემო ჭალადიდის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 4923 გრძ.მ-ზე, ქალაქ სენაკში კალისტრატე გრიგოლიას ქუჩის რეაბილიტაცია 302 გრძ.მ-ზე, ქალაქ სენაკში ვაჟა ფშაველას ქუჩის რეაბილიტაცია 353 გრძ.მ-ზე, ზანის ადმინისტრაციულ ერთეულში, საესებუოს უბანში გზის რეაბილიტაცია 1577 გრძ.მ-ზე, ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ბეთლემში ეკლესიამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 160 გრძ.მ-ზე, სანკტ პეტერბურგის ქუჩის რეაბილიტაცია (ჟ.შარტავას ქუჩიდან თბილისის ქუჩამდე) 267 გრძ.მ-ზე, ფოცხოს ადმინისტრაციული ერთეულისა და უშაფათის ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 1712 გრძ.მ-ზე, ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, პატარა შხეფის უბანში გზის რეაბილიტაცია 721 გრძ.მ-ზე, ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის (ზემო ჭალადიდის ცენტრიდან საგვიჩიოს მიმართულებით) 2806 გრძ.მ-ზე, ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის (ზემო ჭალადიდის ცენტრიდან საგვიჩიოს მიმართულებით, მეორე ეტაპი) 700 გრძ.მ-ზე, ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სკოლიდან მეურნეობისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია 2768 გრძ.მ-ზე, მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, სახარბედიოში მე-3 ქუჩისა და შესახვევების რეაბილიტაცია 490 გრძ.მ-ზე, ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, საარახამიოს უბანში გზის რეაბილიტაცია (მე-5 ქუჩა) 640 გრძ.მ-ზე, ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ სორტაში, ჩილაჩავების უბანში გზის რეაბილიტაცია (მე-3 ქუჩა; 1 ქუჩის 1 ჩიხი) 765 გრძ.მ-ზე, ნოსირის ამდინისტრაციულ ერთეულში, სასოლომონიოს უბანში გზის რეაბილიტაცია 994 გრძ.მ-ზე, მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ბათარიაში მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 ქუჩების რეაბილიტაცია 1765 გრძ.მ-ზე, უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლეგოგინეს უბანში გზის რეაბილიტაცია 381 გრძ.მ-ზე, უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლეკოკაიეს უბანში გზის რეაბილიტაცია 380 გრძ.მ-ზე, გეჯეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, საჯღამაიოს უბანში გზის რეაბილიტაცია 1953 გრძ.მ-ზე, ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში, ლედემურიეს უბანში გზის რეაბილიტაცია 2208 გრძ.მ-ზე, მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ სახარბედიოში I ქუჩის I შესახვევის რეაბილიტაცია 144 გრძ.მ-ზე, ქ.სენაკი, ლადო ასათიანის ქუჩის რეაბილიტაცია 713

გრძ.მ-ზე, ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში სასირიოს უბნის გზის რეაბილიტაცია 890 გრძ.მ-ზე. ჯამში ასფალტისა და ბეტონის საფარი მოეწყო 29 გზაზე, 27 619 გრძ.მეტრზე. საერთო სახელშეკრულებო ღირებულებით 8661823 (რვა მილიონ ექვსასამოცდაერთი ათას რვაასოცდასამი) ლარი.

ასევე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით განხორციელდა 8 მინი სპორტული მოედნისა და 1 ტრენაჟორის მოწყობა - ახალისოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ისულაში, თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში, გოლასკურის უბანში, ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში, საოდიშარიოს უბანში, ქ.სენაკი, დედის ქუჩაზე, ქ.სენაკი, მიშა ღვინჯილიას ქუჩა N3ა-ში, თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში ტყირის უბანში, თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში, საგვარამიოს უბანში, ქ. სენაკი, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე და დედის ქუჩაზე ტრენაჟორის მოწყობა, - საერთო ღირებულებით 898 046 (რვაასოთხმოცდათვრამეტი ათას ორმოცდაექვსი) ლარი.

რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსებულ პროექტებს:

- მუსიკალური სკოლის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) - ღირებულებით 391559 (სამაოთხმოცდათერთმეტი ათას ხუთასორმოცდაცხრამეტი) ლარი;
- სენაკი-ფოთი; სენაკი-ხობი; სენაკი-მარტვილი; სენაკი-აბაშა; სენაკი-ჩხოროწყუს საავტომობილო გზებზე არსებული ფირნიშების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია - ღირებულებით 80 465 (ოთხმოცი ათას ოთხასსამოცდახუთი) ლარი;
- ქალაქის ქუჩების ორმული შეკეთების სამუშაოები - ღირებულებით 197 477 (ასოთხმოცდაჩვიდმეტი ათას ოთხასსამოცდაჩვიმდეტი) ლარი;

სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში შესრულდა ქ.სენაკი, ჭავჭავაძის ქუჩა N82-ში, საბავშვო ატრაქციონის მოწყობა კაუჩუკის საფარით - ღირებულებით 48 776 (ორმოცდარვა ათას შვიდასსამოცდათექვსმეტი) ლარი და სენაკის მუნიციპალიტეტში, ორი ერთეული მულტიფუნქციური ენერგოეფექტური მოსაცდელის მოწყობა - ღირებულებით 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი.

საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული პროექტის - ,,მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის" ფარგლებში 2025 წელს ხელშეკრულება გაფორმდა და მიმდინარეობს:

ქალაქ სენაკში, ცენტრალურ ნაწილში (ს/კ 44.01.31.648), თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკის შენობის მშენებლობა ღირებულებით 335799 ლარი;

2024 წლის 29-30 სექტემბერს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის (ქარიშხალი) შედეგად დაზიანდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავები და ძვ სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. საჩიქობავოში არნოლდ ჩიქობავას სახელობის სახლ-მუზეუმის სახურავი დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციისთვის, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 7 თებერვლის N239 განკარგულების საფუძველზე 2025 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა 9 ინფრასტრუქტურულ ობიექტს, ჯამური ღირებულებით 714753 (შვიდასთოთხმეტი ათას შვიდასორმოცდაცამეტი) ლარი, კერძოდ:

- ჭავჭავაძის ქუჩა #35-ში არსებული რვასართულიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვა - ღირებულებით 54 050 (ორმოცდათოთხმეტი ათას ორმოცდაათი) ლარი.
- ჭავჭავაძის ქუჩა #33-ში არსებული ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვა - ღირებულებით 115726 (ასთხუთმეტი ათას შვიდასოცდაექვსი) ლარი.
- სამტრედიის ქუჩა #12- 1 კორპუსი არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვა - ღირებულებით 122 950 (ასოცდაორი ათას ცხრაასორმოცდაათი) ლარი.
- სამტრედიის ქუჩა #12- 2კორპუსი არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვა - ღირებულებით 84 820 (ოთხმოცდაოთხი ათას რვაასოცი) ლარი.
- რუსთაველის ქუჩა #116-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვა - ღირებულებით 108 618 (ასრვა ათას ექვსასთვრამეტი) ლარი.
- ყოფილ სამხედრო ქალაქში #194-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის გადახურვა - ღირებულებით 60158 (სამოცი ათას ასორმოცდათვრამეტი) ლარი.
- ძვ.სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ.საჩიქობავოში არნოლდ ჩიქობავას სახელობის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია - ღირებულებით 17041 (ჩვიდმეტიათას ორმოცდაერთი) ლარი.
- ძვ.სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფძვ.სენაკში ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია (მარჯვენა მხარეს) ქუჩა 12 #10 - ღირებულებით 75695 (სამოცდათხუთმეტი ათას ექვსასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი.
- ძვ.სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფძვ.სენაკში ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია (მარცხენა მხარეს) ქუჩა 1 #12 - ღირებულებით 75695 (სამოცდათხუთმეტი ათას ექვსასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი.

2024 წლის 19-20 ოქტომბერს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის (წყალდიდობა) შედეგად დაზიანდა ხიდ-ბოგირები, ჩაიხერგა სასაფლაოს მიმდებარედ არსებული ფერდობები და ჩაიქცა სავალი გზის გვერდულები. სენაკის მუნიციპალიტეტის ზარალის დამდგენი კომისიის მიერ დათვლილ იქნა მიყენებული ზარალის ოდენობა, რეაბილიტაციას დაექვემდებარა 10 ინფრასტრუქტურული ობიექტი, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 7 თებერვლის N239 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხებიდან განხორციელდა სარეაბილიტაციო სამუშაოები - ჯამური ღირებულებით 704752 (შვიდასოთხი ათას შვიდასორმოცდათორმეტი) ლარი.

- ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ციზეთში გზის გასწვრივ ჩაქცეული მონაკვეთის რეაბილიტაცია - ღირებულებით 32180 (ოცდათორმეტიათას ასოთხმოცი) ლარი;
- ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სასერგიოს უბანში ეკლესიასთან მისასვლელი გზის ჩაქცეული მონაკვეთის რეაბილიტაცია ღირებულებით 16799 (თექვსმეტიათას შვიდასოთხმოცდაცხრამეტი) ლარი;
- ქ. სენაკი, ჩხეტიას ქუჩის პირველ ჩიხში ჩაქცეული გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია - ღირებულებით 76158 (სამოცდათექვსმეტიათას ასორმოცდათვრამეტი) ლარი;
- ქ. სენაკი, ქუთაისის ქუჩაზე, ეკლესიასთან მისასვლელი გზის ჩაქცეული მონაკვეთის რეაბილიტაცია - ღირებულებით 73212 (სამოცდაცამეტიათას ორასთორმეტო) ლარი;
- ზანა-უშაფათის დამაკავშირებელი გზის ჩაქცეული მონაკვეთის რეაბილიტაცია-2 ლოკაციაზე - ღირებულებით 118063 (ასთვრამეტიათას სამოცდასამი) ლარი;
- ეკი ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ საადამიოში გზის ჩაქცეული მონაკვეთის რეაბილიტაცია - ღირებულებით 57177 (ორმოცდაჩვიდმეტიათას ასსამოცდაჩვიდმეტი) ლარი;
- ქ. სენაკი, ალ.არჩაიას ქუჩაზე მილხიდის რეაბილიტაცია - ღირებულებით 158516 (ასორმოცდათვრამეტიათას ხუთასთექვსმეტი) ლარი;
- საკალანდარიშვილოს სასაფლაოს 2 ლოკაციაზე დამცავი ჯებირის მოწყობა - ღირებულებით 76072 (სამოცდათექვსმეტიათას სამოცდათორმეტი) ლარი.
- ქ.სენაკი, არსენას ქუჩაზე გზის ჩაქცეული გვერდულის აღდგენა - ღირებულებით 76039 (სამოცდათექვსმეტიათას ოცდაცხრამერი) ლარი;
- ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ გახომელაში, ლეგაგუეს უბანში სასაფლაომდე მისასვლელი გზის დაზიანებული გვერდულის აღდგენა - ღირებულებით 20536 (ოციათას ხუთასოცდათექვსმეტი)ლარი;

2024 წლის 27-28 ნოემბერს სტიქიის (წყალდიდობა და ქარიშხალი) შედეგად დაზიანებულ ობიექტებზე განხორციელდა სარეაბილიტაცო სამუშაოები ჯამური ღირებულებით 208446 (ორასრვა ათას ოთხასორმოცდაექვსი) ლარი:

- ზემო ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩაქცეული გზის გვერდულის აღდგენა - ღირებულებით 20756 (ოციათას შვიდასორმოცდათექვსმეტი) ლარი;

- უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩაქცეული გზის გვერდულის აღდგენა ღირებულებით 53991 (ორმოცდაცამეტი ათას ცხრაასოთხმოცდათერთმეტი)
- სასპორტო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია - ღირებულებით 103647(ასსამი ათას ექვსასორმოცდაშვიდი) ლარი;
- ახალსოფლის ადმინისტრაციული შენობის სახურავის რეაბილიტაცია - ღირებულებით 19508 (ცხრამეტი ათას ხუთასრვა) ლარი;
- ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული საბავშვო ბაღის სახურავის რეაბილიტაცია - ღირებულებით 10544 (ათი ათას ხუთასორმოცდაოთხი) ლარი;

ასევე 2024 წლის 18 დეკემბერს სტიქიის (წყალდიდობა) შედეგად აღდგენა/რეაბილიტაციას დაექვემდებარა 4 ინფრასტრუქტურული ობიექტი. 2025 წელს რეაბილიტირდა აღნიშნული ობიექტები ჯამური ღირებულებით 400663 (ოთხასი ათას ექვსასსამოცდასამი) ლარი:

- უშაფათის ადმინისტრაციული ერთეული, ლეხაბურზანიეს უბანში არსებული ხიდის რეაბილიტაცია - ღირებულებით 35750 (ოცდათხუთმეტი ათას შვიდასორმოცდაათი) ლარი;
- ეკის ადმინისტრაციული ერთეული, სოფელ შრომისკარში არსებული ხიდის ბურჯის რეაბილიტაცია - ღირებულებით 87220 (ოღხმოცდაშვიდი ათას ორასოცი) ლარი;
- ეკის ადმინისტრაციული ერთეული,სოფელ შრომისკარში, საშურღაიოს უბანში ჩაქცეული გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია - ღირებულებით 271843 (ორასსამოცდათერთმეტი ათას რვაასორმოცდასამი) ლარი;
- ხორშის ადმინისტრაციული ერთეული, სოფელ შუა ხორშში, სააბაკელიოს უბანში ჩაქცეული გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია - ღირებულებით 5850 (ხუთი ათას რვაასორმოცდაათი) ლარი;

რეაბილიტირდა 2024 წლის 12 აგვისტოს სტიქიის (წყალდიდობა) შედეგად დაზიანებული 2 ინფრასტრუქტურული ობიექტი, რომელიც დაფინანსებულ იქნა სტიქიის ეკონომიების თანხებიდან ჯამური ღირებულებით 66576 (სამოცდაექვსი ათას ხუთასსამოცდათექვსმეტი) ლარი:

- სოფელ თეკლათის ხიდის (სოგი) მოწყობა - ღირებულებით 47460 (ორმოცდაშვიდი ათას ოთხასსამოცი) ლარი;
- ქ. სენაკი, სასაფლაოს მიმდებარედ სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები (გაბიონის მოწყობა) - ღირებულებით 19116 (ცხრამეტიათას ასთექვსმეტი) ლარი;

2024 წელს ხელშეკრულება გაფორმდა და 2025 წელს დასრულდა 2022 წლის 10-11 ოქტომბერს სტიქიის (წყალდიდობა) შედეგად და 2024 წლის 21 ივნისს სტიქიის (წყალდიდობა) შედეგად დაზიანებული ორი ხიდის მშენებლობა - სენაკის მუნიციპალიტეტის, ლეძაძამის ადმინისტრაციულ ერთეულში და სენაკის

მუნიციპალიტეტის, ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში - საერთო ღირებულებით 2513852 (ორი მილიონ ხუთასცამეტიათას რვაასორმოცდათორმეტი) ლარი.

2025 წლის 22-26 თებერვალს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის (დიდთოვლობა) შედეგად დაზიანდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 04 დეკემბრის №2028 განკარგულებით სენაკის მუნიციპალიტეტს გამოეყო 46 200 (ორმოცდაექვსი ათას ორასი) ლარი. დასრულების ეტაპზეა 3 საცხოვრებელი სახლის გადახურვის სამუშაოები.

2025 წლის 21 სექტემბერს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის (წყალდიდობა) შედეგად დაზიანდა სანიაღვრე არხები, ხიდ-ბოგირები და ჩაიქცა სავალი გზის გვერდულები. სენაკის მუნიციპალიტეტის ზარალის დამდგენი კომისიის მიერ დათვლილ იქნა მიყენებული ზარალის სავარაუდო ოდენობა, რომელმაც შეადგინა 933 964 (ცხრაასოცდაცამეტიათას ცხრაასსამოცდაოთხი) ლარი. რეაბილიტაციას დაექვემდებარა 30 ინფრასტრუქტურული ობიექტი, ამ ეტაპზე მიმდინარეოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა, ხოლო რაც შეეხება მენჯი სახარბედიოს დამაკავშირებელი გზისა და ქუთაისის ქუჩის I შესახვევში გზის დამეწყრილი მონაკვეთების გაწმენდას განხორციელდა დაუყოვნებლივ სტიქიის დარჩენილი ეკონომიის თანხებიდან.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სამუშაოები განხორციელდა სენაკის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში. ამ კუთხით დაიხარჯა 738 000 (შვიდასოცდათვრამეტი ათასი) ლარი. ქალაქს შეემატა 52 ინფრასტრუქტურული პროექტი. რეაბილიტირდა გზები, ხიდ-ბოგირები, მოეწყო გარე-განათების სისტემები, სკვერები, საბავშვო ატრაქციონები, ტრენაჟორები და სხვა.

2025 წელს ხელშეკრულება გაფორმდა 315789 (სამასთხუთმეტი ათას შვიდასოთხმოცდაცხრა) ლარის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე, შედგენილ იქნა 27259067 (ოცდაშვიდი მილიონ ხუთასოთხმოცდაათი ათას სამოცდაშვიდი) ლარის სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

საბავშვო და ბაგა-ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, დასრულდა 4 საბავშვო ბაღის მშენებლობის მასშტაბური პროექტი.

- სენაკის მე-3 საბავშვო ბაღის მშენებლობის პროექტი, ღირებულებით 4 073 214 (ოთხი მილიონ სამოცდაცამეტიათას ორასთოთხმეტი) ლარი;
- ძველი სენაკის, ლეძაძამეს და ფოცხოს საბავშვო ბაღების სამშენებლო სამუშაოები, ჯამური ღირებულებით - 3 800 000 (სამი მილიონ რვაასიათასი) ლარი.

სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს

დაფინანსებით, განხორციელდა 3 საჯარო სკოლის მასშტაბურ სარეაბილიტაციო სამუშოებს, საერთო ღირებულებით - 7 370 477 (შვიდი მილიონ სამასსამოცდაათიათას ოთხასსამოცდაჩვიდმეტი) ლარი.

- სსიპ ჟიული შარტავას სახელობის მე-2 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაციის პროექტი, ღირებულებით - 2 794 373 (ორი მილიონ შვიდასოთხმოცდათოთხმეტიათას სამასსამოცდაცამეტი) ლარი;
- სსიპ ხორშის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშოები, ღირებულებით - 2 249 179 (ორი მილიონ ორასორმოცდაცხრა ათას ასსამოცდაცხრამეტი) ლარი;
- სსიპ უშაფათის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 2 326 925 (ორი მილიონ სამასოცდაექვსიათას ცხრაასოცდახუთი) ლარი.

პროექტების ფარგლებში, სკოლები აღიჭურვება ყველა შესაბამისი სასწავლო რესურსითა და თანამედროვე ინფრასტრუქტურით. შენობები სრულად იქნება ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვის. შენობებს, განახლებულ სასწავლო სივრცეებთან ერთად, ექნებათ ექიმის კაბინეტი, სააქტო და სპორტული დარბაზები, სასადილო, კომპიუტერული ოთახები და საბუნებისმეტყველო კლას-კაბინეტები.

დაიწყო სენაკის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემის სრული რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება, რომელსაც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ახორციელებს. პროექტის ღირებულებაა 51 295 570 (ორმოცდათერთმეტიმილიონ ორასოთხმოცდათხუთმეტიათას ხუთასსამოცდაათი) ლარი.

სენაკის I ზონაში მოეწყობა წყალსადენის ახალი ქსელი, არსებული ლითონის და თუჯის მილები ახლით შეიცვლება. აშენდება მაგისტრალური მილსადენი. დამონტაჟდება ინდივიდუალური წყალმზომები. განხორციელდება ყოფილი სამხედრო ქალაქის დევნილთა დასახლებაში არსებული 25-ვე საცხოვრებელი კორპუსის, მშვიდობის ქუჩის N105. ურიდიას N26, N28; სამტრედიის ქუჩის N12 და N16-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების გამრიცხველიანების მასშტაბური პროექტი. სრულად განახლდება 17 ჭაბურღილი.

პროექტის დასრულების შემდეგ, ქალაქ პირველი და 12-ვე ზონის, მენჯის, ახალსოფლის, ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: საბესელიოს, საოდიშარიოს, საკილასონიოს, ნოსირის, შუა და მეორე ნოსირის, მიმდებარე სოფლების მოსახლეობა 24 საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მერიის უშუალო ჩარევის შედეგად განხორციელდა თბილისი-სენაკი-ლესელიძეს საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის (281 კმ-ზე) რეაბილიტაცია, ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია, მიმდინარეობს სენაკი - ნოქალაქევი - ბანძა - ხონის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის 15-20კმ მონაკვეთის რეაბილიტაცია.

პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა მდინარეების სანაპირო ზოლის დაზიანებული და საშიში მონაკვეთების გამოვლენა და სათანადო უწყებების წინაშე წარდგენა. შესაბამისად საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით განხორციელდა თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულში, მდ.ცივზე ნაპირსამაგრი სამუშაოები - ღირებულებით 798000 (შვიდასოთხმოცდთვრამეტი ათასი) ლარი.

მეწყერისაგან დაზიანებული საცხოვრებელი სახლების მდგომარეობაზე შემუშავებულ იქნა დოკუმენტაცია და შუამდგომლობა გაეწია მოქალაქეებს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან გეოლოგიური დასკვნის მიღების მიზნით, შესაბამისად 2025 წელს წარმოდგენილ იქნა 86 ბენეფიციარზე გეოლოგიური დასკვნა, საიდანსაც 19 ბენეფიციარი დაექვემდებარა ადგილმონაცვლეობას, ხოლო 67 ბენეფიციარს მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია.

დასრულდა ფოცხოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: ფოცხო, ლეგოგიე-ნასაჯუ, მოხაში, მეორე მოხაშისა და ხორშის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: შუა ხორში, დიდი ხორში, პატარა ზანა, საადანაიო, საგუგუნავო, ციზეთის საპროექტო სამუშაოები. ამჟამად მიმდინარეობს სამონტაჟო-სამშენებლო სამუშაოები.

აგრეთვე სამშენებლო სამუშაოები განხორციელდა მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: ბათარია, პერტული, საგაბესკირიო, საწულეისკირიო, სახერბედიო, სკურიასა და ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: ლეძაძამე, ბეთლემი, კვაუთი, ლეგოგიე, ლესაჯაიე, ჯოლევში.

მთავრობის განკარგულებით სენაკის მუნიციპალიტეტის ზანისა და უშაფათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში: ზანა, ეწერი, სატყეებუჩაო, საესებუო, საშურღაიო, უშაფათი, ლეგოგინე და ლეკოკაიეში მიმდინარეობს გაზიფიცირების საპროექტო სამუშაოები, რითაც მთლიანად დასრულდება სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გაზიფიცირების სამუშაოები.

2025 წელს, შპს ,,საქართველოს მელიორაციის“ დაფინანსებით, სამელიორაციო და დაშრობითი პროექტები განხორციელდა ახალსოფლის, ზემო ჭალადიდის, თეკლათის და ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულებში, საერთო ღირებულებით 301400 ლარი. ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში სამელიორაციო სამუშაოები განხორციელდა 232 ჰა-ზე. ჩატარდა 18467 გრძივ მეტრზე სადრენაჟე არხის ამოწმენდის სამუშაოები, ღირებულებით 59064 ლარი; ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში სამელიორაციო სამუშაოები განხორციელდა 210 ჰა-ზე. ჩატარდა 72 000 გრძივ მეტრზე სადრენაჟე არხის ამოწმენდის სამუშაოები, ღირებულებით 230400 ლარი. 9 400 გრძივ მეტრზე არხის კეთილმოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 30080 ლარი; თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში სამელიორაციო სამუშაოები განხორციელდა 18 ჰა-ზე. ჩატარდა 2168 გრძივ მეტრზე სადრენაჟე არხის ამოწმენდის სამუშაოები, ღირებულებით 6988 ლარი; ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში სამელიორაციო სამუშაოები განხორციელდა 58 ჰა-ზე. ჩატარდა 2186 გრძივ მეტრზე სადრენაჟე არხის ამოწმენდის სამუშაოები, ღირებულებით 6995 ლარი.

2025 წელს სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურმა მშენებლობის ნებართვა გასცა 56 ფიზიკურ და 16 იურიდიულ პირზე. ადგილობრივ ბიუჯეტში მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის სახით შეტანილ იქნა 89831,57 (ოთხმოცდაცხრა ათას რვაასოცდათერთმეტი და 57 თეთრი) ლარი. გაცემული ნებართვებიდან 36 ფიზიკურ პირზე გაცემულ იქნა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა.

ყოველკვარტალურად ინფორმაცია მიეწოდება სამხარეო რწმუნებულის ადმინისტრაციას გაცემული ნებართვებისა და ექსპლოატაციაში მიღებული შენობა-ნაგებობების შესახებ წარმოდგენილი ფორმის მიხედვით, ასევე ყოველკვარტალურად ინფორმირდება საქსტატის ეროვნული სამსახური გაცემული ნებართვების შესახებ. საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმების შემდეგ ნებართვები გაცემულ იქნა კერძო და იურიდიულ პირებზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალ დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული გზების მიმდებარედ ასაშენებელ შენობა-ნაგებობზე. მიმდინარე წელს დეპარტამენტთან შეთანხმდა 6 ობიექტი. უნებართვოდ და უპროექტოდ აშენებულ საცხოვრებელ სახლებსა და დამხმარე შენობა-ნაგებობებზე ლეგალიზების ნებართვა გაიცა 5 ფიზიკურ პირზე.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 2025 წელს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოცხადდა კონკურსი ქალაქ სენაკში არსებული ამორტიზებული სტადიონის დემონტაჟისა და მის ადგილზე უეფას II კატეგორიის შესაბამისი ახალი სტადიონის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით. ასევე გამოცხადდა ტენდერი ქალაქ სენაკში საცურაო აუზის მშენებლობისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე.